სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება # 32

(არამართებული ქცევა/ქცევის კოდექსის დარღვევა)

მატჩი	თბ „აკადემია'ლაშარი“ - ოზურგეთის „არწივები“		
გუნდი	ოზურგეთის „არწივები“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	01/12/2024	მატჩის ადგილი	თბილისი, რაგბი პლატო
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციები.		

დარღვევის აღწერა			
პიროვნება, სტატუსი	მრწვთნელი	დაბადების თარიღი	
სახელი, გვარი	კახაბერ მაჩიტაძე		
☒მატჩის ოფიციალური პირი ☐პიროვნება	მატჩის მეთვალყურე თინათინ სიხარულიძე	დარღვევა	☐ აღიარებულია ☐ უარყოფილია
დარღვევა	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია - 8.13 არ მიაყენოს შეურაცხყოფა და/ან დაემუქროს მატჩის ოფიციალურ პირებს და/ან სადისციპლინო და სააპელაციო კომისიის წევრებს, იქნება ეს სათამაშო სივრცეში თუ მის მიღმა;		☐ წითელი ბარათი ☒ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	05/12/2024	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, აკაკი კერესელიძე		
დამრღვევის დასწრება	☒ კი (დისტანციური) ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მეთვალყურის თინათინ სიხარულიძის საითინგი;		

ფაქტობრივი მოცემულობები, დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია და დამხმარე მასალები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მეთვალყურის თინათინ სიხარულიძის საითინგი (ციტირება) - **მეორე ტაიმის განმავლობაში არწივების ხაზის მწვრთნელი კახა მაჩიტიძე საჯაროდ ხმამაღალი ტონით აპელირებდა მსაჯების გადაწყვეტილებებს, რასაც ჩემგან გაფრთილება მოჰყვა. ამის მიუხედავად მან გაფრთხილება არ გაითვალისწინა და განაგრძობდა მსაჯების აპელირებას, კერძოდ , არაკორექტული კომუნიკაციით, კონკრეტულად: ყვიროდნენ , თვალები სად გაქვთ, ბრმები ხართ, სად ისწავლეთ მსაჯობა, არაფრის გაგებაში არ ხართ, ასევე მათთვის ყველა მოწინააღმდეგის ბურთის გადაწოდება იყო წინთამაში რაზეც ბოლო ხმაზე ყვიროდნენ , ასევე ყველა ჯარიმის და შერკინების გაპროტესტება გვერდით მსაჯთან. ამის შემდგომ მე კვლავ მოვუწოდე რომ უნდა დაეტოვებინა მოედანი , რა დროსაც ჩემს მიმართ გახდა აგრესიული და მოედნიდან გასვლის დროს მომაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კონკრეტულად კი ეს გამოიხატებოდა გინებით ფორმაში.**
2. მატჩის მსაჯის გიორგი ირემაშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - გიორგი ირემაშვილი ვერ ადასტურებს „არწივები“-ს მწვრთნელის კახაბერ მაჩიტაძის მხრიდან მატჩის მეთვალყურის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს.
3. მატჩის კიდის მსაჯის კლაუდიუს ხუციშვილის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - კლაუდიუს ხუციშვილის განცხადებით ის იმყოფებოდა მოედნის მოპირდაპირე კიდეზე და აქედან გამომდინარე ვერ ადასტურებს „არწივები“-ს მწვრთნელის კახაბერ მაჩიტაძის მხრიდან მატჩის მეთვალყურის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს.
4. მატჩის კიდის მსაჯის საბა ილურიძის გამოკითხვის აუდიოჩანაწერი - საბა ილურიძის განცხადებით, იგი პირადად არ შესწრებია კახაბერ მაჩიტაძის მიერ მატჩის მეთვალყურის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

კახაბერ მაჩიტაძემ კატეგორიულად უარყო მატჩის მეთვალყურის სიტყვიერი შეურაცხყოფა. მისი განცხადებით იგი აპროტესტებდა კიდის მსაჯთან სათამაშო მომემენტებს რა დროსაც მასთან მივიდა მატჩის მეთვალყურე და მოსთხოვა სათამაშო პერიმეტრიდან გასვლა. კახაბერ მაჩიტაძემ განმეორებით უარყო მეთვალყურის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი და ბოდიში მოიხადა მეთვალყურეს მიმართ შესაძლო გაუგებრობის გამო.

ფაქტობრივი მოცემულობებზე მსჯელობა და დარღვევის დადგენა

სადისციპლინო კომისიამ სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი მოცემულობების განხილვის და მსჯელობის შემდეგ დადგენილად ცნო კახაბერ მაჩიტაძის მხრიდან სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 8.6 პუნქტის **(საჯაროდ არ გააპროტესტოს და/ან პროვოცირება გაუწიოს მატჩის ოფიციალური პირების მიერ მატჩის დროს მიღებული გადაწყვეტილებების საჯარო გაპროტესტებას;)** დარღვევა.

სადისციპლინო კომისიამ მატჩის ოფიციალური პირების განცხადებების შეჯამების შედეგად ცალსახად ვერ დაადგინა მატჩის მეთვალყურის სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტი.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ მიღებულია	☐ უარყოფილია	☐ სხვა (აღწერეთ)

სანქცია

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	5(ხუთი) კვირა. 3(სამი) კვირა **აქტიური** 2(ორი) კვირა **პირობითი**. I ლიგის 2024/25 წლის სათამაშო სეზონის დასრულებამდე.	☐ **წითელი ბარათი საკმარისია**
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	11/12/2024	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი.	3(სამი)კვირა **აქტიური** დისკვალიფიკაციის დასრულების თარიღი - 10/02/2025. 2(ორი) კვირა **პირობითი** დისკვალიფიკაციის დასრულების თარიღი - 09/06/2025.	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 8.21 ბ)**		
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	**პირობითი** დისკვალიფიკაციის პერიოდში ანალოგიური დარღვევის განმეორების შემთხვევაში დაკისრებულ სანქციას დაემატება პირობითი დისკვალიფიკაციით განსაზღვრული კვირების რაოდენობა.	

- **სადისციპლინო სანქციის მოქმედების პერიოდში, დასჯილ მოთამაშეს/პიროვნებას თამაშის დროს ეკრძალება რაიმე სახის აქტივობა სათამაშო პერიმეტრში რაგბის თამაშის ნებისმიერ დონეზე. (სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.3)**

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	თარიღი	10/12/2024

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]